

## ოქმი N18

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ბიუროს სხდომის2017 წელი, 27 სექტემბერი  
ქ. ოზურგეთი, 15<sup>00</sup>სთ.**ესწრებოდნენ:**საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ნ. გოგუაძე,  
კომისიების თავმჯდომარეები: ი.საჯაია, ლ. ბიგვავა, ნ.ტაბატაძე, ლ.თოიძე,  
მ.მახაროზლიძე,

ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ.ორაგველიძე.

**არ ესწრებოდნენ:** თ. სალუქვაძე, თ. ნადირიძე, კ. კვაჭაძე.**სხდომას თავმჯდომარეობდა:** საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი ნ. გოგუაძესხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის  
წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.**დღის წესრიგი**

1. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების, სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე****თანამომხსენებელი: ირინე საჯაია**

2. „სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე****თანამომხსენებელი: ირინე საჯაია**

3. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე****თანამომხსენებელი: ირინე საჯაია**

4. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**  
**თანამომხსენებელი: ირინე საჯაია**

5. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**  
**თანამომხსენებელი: ირინე საჯაია**

**მომხსენებელმა ი. საჯაიამ** განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობდა 21 მარტიდან. დროებით შეჩერდა დადგენილებების დამტკიცება კანონში ცვლილებების შეტანის გამო. რადგანაც საკითხების შინაარსი გამომდინარეობს ერთმანეთისგან, ვალდებულები ვართ 1 ოქტომბრამდე მივიღოთ ეს ხუთი ნორმატიული აქტი. საკითხი განხილულია, პროექტებში ცვლილებები არ შესულა და მან ითხოვა საკითხების საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

**დაადგინეს:** საკითხები დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე  
**დამტკიცდა ერთხმად**

საკრებულოს სხდომის ჩატარება გადაწყდა 2017 წლის 28 სექტემბერს 11<sup>00</sup> საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ მაღლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე**

ნინო გოგუაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი  
ხელმძღვანელობა